



ტრეფიკინგის საწინააღმდეგო პოლიტიკა

დამტკიცებულია ორგანიზაციის გამგეობის მიერ
თარიღი: 3 ნოემბერი, 2020

პრეამბულა

თანადგომა ვალდებულია, უზრუნველყოს ყველა მისი თანამშრომლისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემო, რომელიც თავისუფალია ყველა სახის დისკრიმინაციისგან საფრთხისაგან მათ შორის ტრეფიკინგის ჩათვლით. თანადგომას აქვს ნულოვანი ტოლერანტობის მიდგომა ტრეფიკინგის ნებისმიერ ფორმასთან დაკავშირებით, სერიოზულად უდგება ყველა ინციდენტს და დაუყოვნებლივ განიხილავს ტრეფიკინგის დანაშაულთან კავშირის ყველა ბრალდებას. ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც მხილებული იქნება სხვა ადამიანის (თანამშრომელი, ორგანიზაციის ბენეფიციარი და სხვ.) ტრეფიკინგის დანაშაულთან კავშირში, სამსახურიდან გათავისუფლდება. თანამშრომლისგან მიღებული ტრეფიკინგთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია სერიოზულად იქნება განხილული თანადგომას ადმინისტრაციის მხრიდან, კონფიდენციალობის სრული დაცვით. არცერთი თანამშრომელი არ დაზარალდება ადმინისტრაციაში ასეთი საჩივრის შეტანის გამო.

დებულებები

- ორგანიზაცია უზრუნველყოფს შტატის წევრების ცნობიერების ამაღლებას ტრეფიკინგის დანაშაულთან დაკავშირებით. ტრეფიკინგის საკითხები შეტანილი არის შტატის წევრთა პროფესიული მომზადების კურიკულუმში.
- ორგანიზაციის შტატის ყველა წევრი ტრეფიკინგის დანაშაულის აღმოჩენის შემთხვევაში ვალდებულია, მიაწოდოს ინფორმაცია ორგანიზაციის ხელმძღვანელობას და სამართალდამცავ ორგანოებს.
- ორგანიზაცია არ ითანამშრომლებს არცერთ პირთან ან ორგანიზაციასთან, რომელიც ტრეფიკინგის დანაშაულთან ოდესმე ყოფილა დაკავშირებული.
- ორგანიზაციის თანამშრომლებს ეკრძალებათ მომსახურების მიღება ტრეფიკინგის დანაშაულში ეჭვმიტანილი პირებისგან ან სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციებისგან.
- ორგანიზაცია ატარებს ყველა საჭირო უსაფრთხოების ზომებს, რათა საქმიანობის დროს არ შეიქმნას ბენეფიციარების ტრეფიკინგის მსხვერპლად ქცევის რისკი.
- ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დროს ორგანიზაცია ატარებს ყველა საჭირო ღონისძიებას მათი ხელმეორედ მსხვერპლად ქცევის, ან ტრეფიკიორთა მხრიდან ძალადობის თავიდან ასაცილებლად.



სანქციები და დისციპლინური ზომები

თანადგომას ნებისმიერი თანამშრომელი, რომელსაც კავშირი აქვს ტრეფიკინგის დანაშაულთან, ამ პოლიტიკის შესაბამისად პასუხს აგებს შემდეგი სანქციით:

- სამსახურიდან გათავისუფლება.

წინამდებარე პოლიტიკის განხორციელება და ზედამხედველობა

თანადგომა უზრუნველყოფს, რომ ამ პოლიტიკის შინაარსს გაეცნოს ყველა თანამშრომელი და დაადასტუროს ეს ხელმოწერით. ყველა ახალი თანამშრომელი სამუშაო კონტრაქტთან ერთად ეცნობა თანადგომას პოლიტიკის დოკუმენტებს, ამ პოლიტიკის ჩათვლით, და ხელმოწერით ადასტურებს, რომ გაეცნო და ეთანხმება აღნიშნულ პოლიტიკას. ყოველწლიურად, თანადგომა აწყობს შეხვედრას/ტრენინგს, რომლის მიზანიც არის არსებული პოლიტიკების ცვლილებების, ან ახლადდამტკიცებული პოლიტიკის მიღების შესახებ თანამშრომლების ცოდნის განახლება. ყველა მენეჯერის პასუხისმგებლობაა, უზრუნველყოს მის დაქვემდებარებაში მყოფი ყველა თანამშრომლის ინფორმირება ამ პოლიტიკის შესახებ.